აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

12 თებერვალი, 2014

დადგენილება № 33 (13/14)

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესი და პირობები შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (უნივერსიტეტი) ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ

მუხლი 1.

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი“ (შემდგომში ემერიტუსი) წარმოადგენს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ აკადემიურ წოდებას.

მუხლი 2.

ემერიტუსის წოდება ენიჭება პირს, რომელიც ამ წოდების მინიჭების შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

2.1. სავალდებულო პირობები

ა) არის 65 წლის ან მეტი ასაკის;

ბ) უკავია უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა;

გ) ორჯერ მაინც იყო არჩეული უნივერსიტეტის სრული პროფესორის თანამდებობაზე;

დ) აქვს უნივერსიტეტის სრულ პროფესორად მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში;

ე) აქვს უნივერსიტეტში (მათ შორის უნივერსიტეტთან გაერთიანებულ საგანმანათლებლო ან სამეცნიერო დაწესებულებაში) სამეცნიერო ან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება (უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის თავისებურებიდან გამომდინარე, ამ პუნქტით განსაზღვრული მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები);

2.2. დამატებითი პირობები

ვ) ჩართული იყო საერთაშორისო მნიშვნელობის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევით პროგრამებსა და პროექტებში;

ზ) არის საერთაშორისო მნიშვნელობის მონოგრაფიის, გამოგონების ავტორი და/ან პატენტის მფლობელი. არის არანაკლებ 3 სახელმწიფო სალიცენზიო სერთიფიკატის მფლობელი ძირითად და მომიჯნავე სპეციალობებში (მედიცინის სფეროსათვის);

თ) არის საერთაშორისო რეფერირებად და/ან იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში სტატიების ავტორი და/ან იძებნება საერთაშორისოდ აღიარებულ საკვლევ სამეცნიერო ბაზებში;

ი) არის დარგისათვის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოების ავტორი;

კ) მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა ორი დისერტაცია მაინც დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად;

მუხლი 3.

პირს ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს თუ იგი აკმაყოფილებს 2.2. მუხლის პირობებიდან 2-ს მაინც.

მუხლი 4.

ემერიტუსის წოდების მინიჭებისთანავე პირი თავისუფლდება უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან.

მუხლი 5.

ემერიტუსის წოდების მქონე პირი მონაწილეობს უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიური ვალდებულებების შესაბამის საგანმანთლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.

მუხლი 6.

უნივერსიტეტი ემერიტუსის წოდების მქონე პირი, მის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კარგავს უნივერსიტეტი ემერიტუსის წოდებას და ყოველთვიურ ანაზღაურებას.

მუხლი 7.

უნივერსიტეტი ემერიტუსის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახე და მოცულობა განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რაც აისახება შესაბამის ხელშეკრულებაში.

მუხლი 8.

უნივერსიტეტი ემერიტუსის წოდების მქონე პირის შრომითი ანაზღაურება ხორციელდება საქართველოს არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, მუხლი 7-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 9.

უნივერსიტეტი ემერიტუსის წოდების მოპოვებისათვის წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა;

- განცხადება უნივერსიტეტი რექტორის სახელზე;
- ამ დებულების მუხლი 2-ით დადგენილი პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (გაცემული შესაბამისი უფლებამოსილი უწყებების მიერ)
- მომავალი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ხედვა, ზოგადი მიმოხილვა;

მუხლი 10.

უნივერსიტეტი ემერიტუსი მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესების შესაბამისად. მას გაცნობიერებული აქვს თავისი სტატუსი მის ნებისმიერ ქმედებაში და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ინტერესებით. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ემერიტუსის მიერ მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესების შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, გააუქმოს ემერიტუსის წოდების შესახებ გადაწყვეტილება.

მუხლი 11.

ამ დადგენილების საფუძველზე მინიჭებული უნივერსიტეტის ემერიტუსის წოდების მქონე პირს უნივერსიტეტის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება, რომლის მოცულობა განისაზღვრება უნივერსიტეტში ქართულენოვანი პროგრამებისათვის დადგენილი პროფესორის ანაზღაურების 80%-ის ოდენობით.